№ 2958
სამშაბათი,
28 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2958
სამშაბათი,
28 ნოემბერი

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა' ნ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". **ტელეფონი № 372**

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და ოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს **„ექსელანს"**-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—6.—36)

მოწოდება

ყველა **მანდილოსანთ** ეროვნებისა და სოციალურ მდგომარეობის განურჩევლად.

ხშირ გაფიცვებისა და მისვლა-მოსვლის შეწყვეტის გამო, დაგვიანდა გამოწერილი სხვა და სხვა საქონლის მიღება. ამის მიზეზით ვაჭრობა შეფერხდა. ამიტომ

ა. ო. მელიქ-მუშკამბარიანცის

სამოდო და სამანუფაქტურო საქონლის მაღაზია (გოლოვინის პროსპ., № 16, სახლი სტეფანოვისა), რომელსაც აქვს 125.000 **მანათის** საქონელი, მიღებული გაფიცვებამდე რამდენისამე დღის წინად,

ნიშნავს

დიდს და იაფს გასყიდვას ამა წლის 25 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე მხოლოდ **საფაბრიკო ფასებით.**

გაისყიდება ბევრი სხვა და სხვა მატერია დედა-კაცისა და მამა-კაცის ტანისამოსისათვის: აბრეშუმის, შალის, მაუდის, ტილოს, ქაღალდის ნაქსოვისა. გარდა ამისა, საბნები პლიუშის, ბაიკის, ნაქსოვი და სხვა საქონელი.

ისყიდება შეუვაჭრებლად (10—2)

მაგდალინა ილიას ასული ასხაბაძისა, შურა დავითისძე ასხაბაძე, დედა მისი ეკატერინე სერგოს ა'ული ასხაბაძისა, ვლადიმერ მიხეილის ძე ასხაბაძე და ოლგა მიხეილის ასული კიკნაძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ ოთხშაბათს, 30 ნოემბერს, ტფ. ანჩისხატის საკრებულო ტაძარში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი 22 ოქტომბრის უდანაშაულო მსხვერპლის

დავით მიხეილის ძის ასხაბაძის

სულის მოსახსენებლად. (1—461—1)

ქაიხოსრო იასონის ძე ქავთარაძე მწუხარებით იუწყებს ნათესავებსა და კეთილის მყოფელთ გარდაცვალებასა ძვირფასი ბიძის

ლუარსაბ ქაიხოსროს ძის ქავთარაძისას,

და სთხოვს მობრძანდნენ განსვენებაზე სამშაბათს, 30 ნოემბერს, დილის 10 საათზედ, კვირაცხოვლის ქუჩაზე № 27, სახლი გაბიტაშვილისა.

სისხლის ღვრა ტფილისში

26 ნოემბერს საღამოთი რიყეზედ ვიღაც მაწანწალებს რევოლვერი ესროლათ ტრამვაის ვაგონისთვის, მაგრამ ვერავინ დაეჭრათ. 9 საათის შემდეგ საკომერციო სასწავლებლის შენობის წინ გაგნიძეს ესროლეს რევოლვერი. ვაგონისთვისაც, ვგონებ, ამ ხულიგანებს უნდა ესროლათ. ვორონცოვის ხიდზედაც ესროლეს ეტლით მიმავალ კაცს. თათრის მოედანზე ყასაბ თათრის დაჭრას თითქმის მთელ ღამეს თოფების სროლა მოჰყვა.

ასე შიშსა და კანკალში გაატარეს ღამე პოლიციის მე 7, 6, და 5 ნაწილის მცხოვრებლებმა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ავჭალის ქუჩაზედ დაეცნენ ერთს თათრის დუქანს, წაართვეს ფულად 30 მან., ოქროს საათი და სხვა ნივთები. თათრის მოკვლა ველარ მოუსწრიათ, რადგან მას სპარსეთის კონსულისთვის შეუფარებია თავი. თეატრიდან დაბრუნებულთ შეუნიშნავთ, რომ პოლიციის მე 5-სა და მე 6 ნაწილის საზღვართან შიშისაგან ყოფილა თუ რისაგან, ხალხს სრულიად უაზროდ რევოლვერებისა და თოფების სროლა აუტეხია. ავსულ ადამიანების ბოროტმა ხრიკებმა ამ გვარად შეამზადა ნიადაგი. პოლიცია ხომ სულ გაჰქრა ამ ღამეს.

გათენდა 23 ნოემბერი. გარეგნობით მშვიდობიანი სახე ჰქონდა ქალაქს. მუშა ხალხი სამუშაოზე გამოვიდა, ვაგონები ამოძრავდნენ, დუქნებ-მაღაზიებში ვაჭრობა დაიწყო. დილის ათი საათის ნახევარი იყო, რომ ვიღაც ბოროტმა კაცებმა კიდევ ასტეხეს სროლა და დაიწყო ბარბაროსული ჟლეტა. თოფების სროლის ხმაზე სახლიდან გამოვედი და გავეშურე თათართა და სომეხთა უბნებისაკენ. მინდოდა, ჩემის თვალით მენახა ყველაფერი. ვორონცოვის ძეგლთან ვნახე, რომ თავზარ-დაცემული ხალხი დუქნებსა ჰკეტდა და გარბოდა. საშინელი ხმები გავრცელდა, რამაც მთელი ქალაქი ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში ჩააგდო. რიყის ქუჩით უკვე დაბრუნდნენ ტრამვაის ვაგონები და მე-6 ნაწილიდან ქალაქის შუაგულში მოსული სომხობა საშინელს ამბებს ავრცელებდა. ამდენი სომეხი იხოცება, ამდენი ქართველი იმსხვერპლეს თათრებმა, რამდენიმე ასი შეიარაღებული კაცი ბორჩალოდან მოვიდაო და სხვა. მე სიონისაკენ გავწიე.

11 საათი დაიწყო. ცხადად სჩანდა, საიდან მოდიოდა შიში. თათრის მოედანს აქეთ არავითარი შიში არ იყო, მაგრამ ვიღაცები სახლებიდან გამოდიოდნენ და სრულიად უმიზნოდ სროლას იწყებდნენ. უფრო ხშირი სროლა იყო სოლოლაკის ბოლო უბნებში. უიარაღო და მარტო ვიყავი. ვიცოდი არავინ დამზოგავდა, ამიტომ მოვიწადინე პოლიციის მე-5 ნაწილში მისვლა და იქიდან პოლიციელთან ერთად წასვლა. სიონის ეკლესიის წინ ვნახე მოკლული თათარი. ტაძრის წინ წამოსწეოდნენ ორ აგურების მზიდავ თათარს; სროლა რომ ატეხილიყო, ესენი უკან დაბრუნებულიყვნენ და გიჟებივით გარბოდნენ; სიონთან მოსწეოდნენ, ერთი მოეკლათ, ხოლო მეორეს მოესწრო გაქცევა. იერუსალიმის ქუჩაზე, გრიგორაშვილისა და ვართიკოვის სამკერვალოსთან ერთი მეთულუხე გამოეთრიათ და დაეგდოთ.

ჯვარის მამის ქუჩაზე შემხვდნენ სოსო ივანაშვილი და არტო სომხიშვილი, რომელთაც გადმომცეს შემდეგი, თვალით ნახული: 10½ საათზე მოლნინის მოედანზე ალყა შემოარტყეს ეტლში მჯდომ ორს თათარს, რომელთაგან ერთი რადიხოვი იყო. ამ ორს კაცზე სამოც კაცამდე რევოლვერებით იერიში მიიტანეს. თათრები გაჩხრიკეს, ამოაცალეს ჯიბიდან ფული და თუ რამ ძვირფასი ჰქონდათ, მერე დაუმიზნეს რევოლვერები. ჩვენ ვთხოვეთ ხალხს არ მოეკლათ და აკანკალებულნი და თავზარდაცემულნი სამშვიდობო ადგილამდე მივაცილეთ. უფრო საშინელი სცენა მოხდა ჩემს თვალწინ, სთქვა ბ-ნ ივანაშვილმა: ერთი მეთულუხე გაჩქარებული მოდიოდა მოლნინის მოედანზე. ეს თათარი მოედანზე მოეკლათ და მერე წამოეთრიათ ჯვარის-მამის ქუჩით. აქ ჩვენც შევხვდით. დიდის ამბით მოდიოდნენ, ცხენი წინ მოჰყავდათ, უკან თათარს მოათრევდნენ და ყიჟინით ხალხი მისდევდა. ასე ჩაატარეს მთელი ქუჩა, გაიტანეს იერუსალიმის ქუჩაზედ და სიონისა და იერუსალიმის ქუჩის შესართავთან დააგდესო.

ჯვარის-მამის ქუჩაზედვე მოჰკლეს 68 წლის მეჩაიე. ჩაითა და ცხელის წყლით ჯვარის-მამის ქუჩით წამოსულიყო სავაჭროდ. როცა სროლა დაწყებულა, უკან გაბრუნებულა, მაგრამ მოუსწვრიათ სიონის ქუჩისა და ჯვარის-მამის ქუჩის შესართავთან. უკან წამოსწეოდა ვიღაც გამხეცებული კაცი და რამდენჯერმე დაეკრა რევოლვერი. იმისი გვამი რიყის ქვით მოკირწყლულ ქუჩაზედ ეგდო. ვიღაც გამოძვრა და საჩაიებს წაეტანა, ეტყობოდა მოპარვა უნდოდა. გავიარე ცოტა და როცა მოვიხედე, საჩაიები უკვე მოეტაცათ, ხოლო გვამს ძაღლები დასტრიალებდნენ.

დახურულ ბაზრის შესავალთან უფრო საზარელი სურათი ვნახე. ახალგაზდა ქალიათვის ვიღაცებს (ალბად თათრებს), ტყვია ესროლათ და ის იყო სულთმობრძავი ოთხ კაცს მოჰყავდათ. ქალმა სული განუტევა, ხოლო იმისი გვამი იქვე სახლის ეზოში შეიტანეს. ქალი სახით რუსს მოჰგავდა, მაგრამ მითხრეს, რომ სომეხიაო. ჯარი არსად სჩანდა, პოლიციის ჰაჰანება ხომ სულ არ იყო. წინ წასვლა საშიშო იყო. გამოვტრიალდი და სიონის ქუჩაზე შეფარებული ვნახე სამი უბნის ზედამხედველი და ოთხი პოლიციელი. ვთხოვე ამათ ჩემთან წამოსულიყვნენ. პოლიციელები ყოყმანობდნენ. მერე გამომყვნენ უბნის ზედამხედველი ბერძნიშვილი და პოლიციელები. თათრის მოედანზე რომ გაველით, ჯარი უკვე მოსულიყო და პოზიციები დაეჭირა. მოედანზე ორი მოკლული თათარი და ერთი სოფლელი უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი სულს ებრძოდა. მოკლულს სოფლელს შეშა გაეყიდნა და ის იყო ბრუნდებოდა, მოედანზე წამოსწეოდნენ და მოეკლათ. სალდათებმა აღარ გამიშვეს. ერთმა თოფიც მომიღერა. ამ დროს თოფის სროლა მხოლოდ აქა-იქ ისმოდა. მოედნიდან დახურულ ბაზარში შევუხვიე. ავლაბრის ხიდს წინ გიულ ახმედოვის ძვირფას ქსოვილებისა და ხალიჩების მაღაზიის კარები გამოემტვრიათ ათამდე სომეხს და უნდოდათ შიგ შესვლა. შევძახეთ, მაგრამ მათ თავისი განაგრძეს, კარები უკვე ჩაამტვრიეს, ის იყო რომ ჯარის კაცებმაც მოუსწრეს და ჩემთან მყოფი ბერძნიშვილი ჩაერია. როცა ვკითხეთ რად სჩადიხართ მაგასაო, გვიპასუხეს—იქიდან რევოლვერები გვესროლესო. თათრები მაღაზიაში დამალულიყვნენ. იქ დარაჯი დააყენეს.

12 საათი სრულდებოდა, გაჩნდნენ ეტლით ქალაქის მოურავის მოადგილე თავ. ჩერქეზიშვილი, ხმ. ბაბოევი, გამგეობის წევრი თავ. არღუთინსკი, ხმ. შახბუდაგოვი. მათ პოლიცმეისტერი მოუძღოდა წინ. ეტლით მოდიოდნენ აგრეთვე სომეხთა და მაჰმადიანთა სასულიერო პირნი. ამათ შეუერთდი და ეტლებით შევუდექით ყველა უბნეში სიარულს. პირველად თათრების უბანზე გავიარეთ. ქუჩაში ერთი კაციც აღარა სჩანდა. როცა დაგვინახეს, თათრები გამოვიდნენ და დაგვატარეს თავიანთი უბნები, როგორც აქ გავიგეთ, დიდი სროლა ატეხილიყო მტკვრის ორსავე მხრიდან. ალასკაროვის სამ სართულიან სახლის შუშაბანდები გაღმიდან სროლით დაეხვრიტათ, არღუთაშვილის ქუჩაზე ორ მეთულუხესათვის ცხენები დაეხოცათ და ერთი მეთულუხე მოეკლათ.

ვორონცოვის ქუჩიდან დავბრუნდით და მეტეხის ციხისაკენ გავსწიეთ. ავლაბრის ხიდზე რომ გაველით, სომეხ ხულიგანებს ასამდე კაცს, თავი მოეყარა და ბაჟხალის მოედანზე შესდგომოდნენ აჯი-კაგრი მანვალის-ოღლის დუქნის მტვრევას. პოლიციელმა მონასტირსკიმ დაიჭირა ერთი და პოლიცმეისტერთან მოიყვანა, მაგრამ დაჭერილი გასხლტა და დაიმალა. აქვე შევიტყეთ, რომ მირზოევების აბანოებთან ენახათ სამი თათარი და ერთი სომეხი დაჭრილ-მოკლულნი. როცა მეტეხის ციხესთან აღმართი ავლიეთ, აქ რამდენიმე სახლი დავათვალიერეთ. ივანე მელიქოვის სახლის ფანჯარაში ერთგან 7 ჯერ ჰქონდა ტყვია მოხვედრილი. აქედან ხელის გულივით გადაშლილია თათრის უბანი. რიყის ქუჩით დავბრუნდით ვორონცოვის ხიდისაკენ. აქ შეგვხვდა მუშათა დიდი პროცესია, რომლის შესახებაც უკვე ვწერდით და რომელიც თათრის მოედნისკენ მოდიოდა. ეს პროცესია თათრების უბნებში სიტყვების წარმოთქმის შემდეგ საღამოს ექვს საათზე დაიშალა. ამ შერიგების შემდეგ აღარავის ეგონა, თუ თოფის სროლა ატყდებოდა.

უკვე 8 საათი შესრულდა, როდესაც მიხეილის სამკურნალოს კიბეზე ავდიოდი. ერთი ყმაწვილი კაცი წამომეწია, ექიმი ვეგონე, და მითხრა, შენი ჭირიმე მომეცი ნება გამოგყვე, მინდა შევიტყო მოიყვანეს თუ არა ჩემ მიერ გადარჩენილი 8 წლის თათრის ბიჭიო. ეს ყმაწვილი აღმოჩნდა ჯოხაძე. წავედით ერთად დაჭრილ-დახოცილთა სანახავად. პატარა თათარი საცოდავად არის დაჭრილი. იმისი გვარი ალი ჩალმადარ ვერდია. როგორც ჯოხაძემ, ისე სხვებმაც ამ ყმაწვილის შესახებ გადმომცეს შემდეგი: ალი და ორი იმისი ნათესავი 23 ნოემბერს ნაშუადღევის ორ საათზედ გულგახეთქილები ირაკლის მოედანზე გარბოდნენ თათრის უბნისაკენ. სიონის საკუთარ სახლის წინ, სადაც მღ. ასათიანი სცხოვრობს, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ, ამ სამს თათარს წამოსწევია 20-მდე კაცი. უფროსები მოუკლავთ, ხოლო ალი დაუჭრიათ. დაჭრილი ალი მანთაშევის სახლის წინ აგურებს ამოჰფარებია. აქ წამოსწევიან, ალის დაუჩოქნია და შეხვეწნია: მაპატიეთ, ნუ მომკლავთ ჩემი ბრალი არ არისო და სხვა. ორჯელ კიდევ დაუხლიათ რევოლვერი და გამობრუნებულან. ამ დროს საიდანაც ჯოხაძე მონავალა. მას პირველად ვერ გაუბედნია ბავშვის გადარჩენა. ჯოხაძეს შეუნიშნავს, რომ ვიღაც მხეცი რიყის ქვით ხელში მიჰპარვია და ის იყო ბავშვისათვის უნდა დაერტყა თავში, ჯოხაძეს შეუძახნია. მერე მისულა, წამოუკიდნია ბავშვი ზურგზე და სახლში წაუყვანია. იქ ფომინის ქუჩაზე ფერშალი მოუწვევია, შეუხვევიათ და მასთან ერთად ეტლით მიხეილის სამკურნალოში წასულა. მუხრანის ქუჩაზე დახვედრია სამოცამდე კაცი, ფერშალი და ჯოხაძე გადმოუყრიათ ეტლიდან და ბავშვი მარტო გაუშვიათ. მეეტლეს სამკურნალოში წაუყვანია; ბავშვისთვის სამკურნალოში ჭრილობები შეუხვევიათ.

სამკურნალოში ვნახეთ დაჭრილები. ისმაილ ჰუსტინ ოღლი, ვერაზე დასჭრეს; ასან ისმაილ ოღლი თათრის მოედანზე დასჭრეს, წაართვეს საათი და პალტო. აბრამ სარქისოვი, 76 წლის მოხუცი მენახშირე, ორგან დაუჭრიათ. სანდრო მაზიაშვილი (გარდაიცვალა) ფურგუნით გამოსულა მალაკნის ეზოდან. რიყის ქუჩაზე წამოსწევია, როგორც თითონ სთქვა სიცოცხლის დროს, რამდენიმე კაცი სომეხი, გადმოუგდიათ ფურგუნიდან, ფეხ ქვეშ გაუთელიათ და რევოლვერიც დაუხლიათ. ამ გვარივე უიარაღო მუშა, ხალხია უმთავრესად დაჭრილნი. დეირშალ ოღლი ორთაჭალაში დაუჭრიათ და მტკვარში გადაუგდიათ. გძნობა დაკარგული ასანი წყალს გამოურიყარს და სალდათებს სამკურნალოში წაუყვანიათ. ალი ისმაილ ოღლი თავის სახლის პატრონს პურზე გაუგზავნია ჩუღურეთში. გამოსდევნებიან, ორჯერ ბებუთი დაუკრავთ, ორჯელ ხანჯალი. შემთხვევით იქვე ერთი ქართველი იყოვო, გადმოგვცა ალი ისმაილმა, მომეშველა, მაგრამ ჩემამდე აღარ გამოუშვეს. მე გამომიდგნენ, „განჯის" ნომრებს შევაფარე თავი, საიდანაც ერთმა პოლიციელმა გადამარჩინაო. ყული ბაბაევს დიდუბეში დუქანი ჰქონია. ვიღაც ოჰანეზოვს გაუჩხრეკია იგი, რევორველი წაურთმევია. ტფ. მცხოვრებს დათიკო ხანთაძეს ვორონცოვის ხიდზედ წამოსწევია თათარი და ბებუთით ორგან დაუჭრია. ვიქტორ არჩვაძე დაუჭრიათ შუა ბაზარში.

24 ოქტომბერს დუქნები გააღეს, მაგრამ საიდანღაც გავარდა თოფი და ასტყდა უფრო ძლიერი სროლა. ამ დღესაც ბევრი დაიჭრა, სამკურნალოში მიიყვანეს 26 დაჭრილი და 9 მკვდარი.

25 ნოემბერმა მშვიდობიანად ჩაიარა, მხოლოდ თათრების ბორჩალოდან ქალაქში შემოსვლის ამბავმა დიდად აღაშფოთა სომხობა.

26 საღამოთი ალიპალიმ დასჭრა ხანჯლით ტრაქტირში პარტიის ორი წევრი.

27 ნოემბერს საღამოთი კიდევ განახლდა თოფების სროლა. საღამოს 6 საათზე ვიღაცას შეითან ბაზარში გაისროლა თოფი, ატეხილა სროლა, რომლის დროსაც დასჭრეს საუკეთესო ვაჟკაცი, წვრილი ცოლშვილის მარჩენალი რაჟდენ სტურუა. სტურუა ერთი საათის შემდეგ მიხეილის სამკურნალოში გადაიცვალა. ამავე საღამოს ავლაბრის ხიდზე დაიჭრა მილიციონერი მუშა ივანე ბეკეტოვი.

საღამოს 6 საათზედ აღმაშფოთებელი ამბავი მოხდა ერმოლოვის ქუჩაზედ სასახლის გვერდზე. ასოთამწყობმა თეოფილე ბაბილაძემ ამხანაგთან ერთად გააცილა თათრები სპარსეთის საკონსულოში. როცა ეტლითვე დაბრუნდნენ, ყაზახებმა თოფები ესროლეს და ბაბილაძე ზურგში სასიკვდილოდ დასჭრეს. შემდეგ გამოვიდნენ, ორივეს თოფები წაართვეს და გაუშვეს.

სროლა არც გუშინ შეწყვეტილა. საზოგადოდ ქალაქი საზარელ სურათს წარმოადგენს. ყველა შეშინებულია, ხულიგანებმაც ეხლა წამოყვეს თავი. სამწუხაროდ, უადგილობისა გამო, ქალაქის ამბებს დაწვრილებით ვერა ვბეჭდავთ.

ყველა პარტიებს

ხალხის მონობის უღელი სინახევროდ გადატყდა. ჩაგრულმა და დევნულმა დიდი ხანი არ არის, რაც თავისუფლება იგემა და შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ცხრათავიანი დევი ჯერაც ფეთქავს, იგი კიდევ მოითხოვს მსხვერპლს თავისუფლებისათვის მებრძოლთაგან.

ბრძოლა ახლა ხურდება და სწორედ ამ საერთო იერიშის დროს ამხანაგები, საერთო მტრის წინააღმდეგ მებრძოლნი ცალ-ცალკე დარაზმულან და ერთმანეთს უთხრიან სამარეს...

სირცხვილი ჩვენთვის!..

ხალხის მეგობარნო, ამხანაგნო, გარე-კახეთის ხალხის—გლეხ-კაცობის—სახელით გთხოვთ, დროებით დასთმოთ პირადი შუღლი, დაივიწყოთ პირადი განხეთქილება, ძმურად მისცეთ ხელი ხელს და საერთო მტერზე—ცხრა თავიან დევზე—ერთად მიიტანოთ იერიში. ამ ცხრა თავიან მდევს საერთო ძალ-ღონით მოჰკვეცეთ თავები, მძორს ღრმა სამარე გაუთხარეთ და შემდეგისათვის ბრძოლის ასპარეზი თავისუფალი აქნებო...

ამასა გთხოვთ გლეხ-კაცობა, ამას გავალებთ მთელის რუსეთის დაჩაგრულ ხალხის ინტერესი...

გაუმარჯოს ხალხის სასიკეთოდ მებრძოლთა გაერთიანებას!.. **გლეხი—მებრძოლი**

P. S. ვსთხოვ სხვა გაზეთებს, ეს წერილი გადაბეჭდონ.

მოწოდება

მოქალაქენო! განმათავისუფლებელი მოძრაობა დღითი-დღე ძლიერდება. ძველი წესი ნელ-ნელა სთმობს პოზიციებს და უბრძოლველად იარაღს არ ჰყრის. თქვენ ხედავთ, რამდენ მსხვერპლს თხოულობს ეს ბრძოლა. თქვენ ხედავთ, რამდენი ოჯახი დაობლდა, რამდენი უპატრონო ცოლ-შვილი დარჩა, რამდენი ოჯახი დაობლდა. გუშინ გურია და ქართლი აიკლეს ჯარებმა; ხვალ, შეიძლება, უარესი მოუვიდეს ქართლსა და კახეთს. გუშინ ხულიგანებმა ტფილისი ააწიოკეს; დღეს, შეიძლება, იგივე მოელის სხვა ჩვენ ქალაქებსა და დაბებს. ასეთია ის ულმობელი და დიდებული ბრძოლა, რომელიც ხალხმა გამოაცხადა თავის განთავისუფლებისათვის! ამხედრებული ხალხი უთუოდ გაიმარჯვებს: მაგრამ ბევრს განიცდის, დიდ გაჭირვებას ნახავს, სანამ დიდებული მზე გამობრწყინდება.

და აი, ამიტომ, ყველა პატიოსან და შეგნებულ მოქალაქის ვალია თავის მხრით

დახმარება აღმოუჩინოს ამ მოძრაობაში დაზარალებულთ, მათ ობლებსა და ქვრივთ, მით აწიოკებულსა და დარბეულ ოჯახებს.

სწორედ ამ მიზნით დაარსდა ტფილისში განსაკუთრებული ფონდი, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს საქართველოში ყველა ხსენებულ დაზარალებულთ, გაურჩევლად ეროვნებისა. ფონდის საქმეს განაგებენ ყველა ქართულ რედაქციებისა, და წესებულებათა და სხვა და სხვა ორგანიზაციათა წარმომადგენელნი.

და აი, ამ ფონდის ბიურო მოგმართავსთ ყველა მოქალაქეთ თხოვნით: თქვენ-თქვენი წვლილი (ერთ დროებით და ყოველ თვიურად) მიაწოდეთ მას! ბიურო მოგაგონებთ, რომ ეს არის თქვენი ზნეობრივი მოვალეობა, ეს არის თქვენი მოქალაქობრივი ვალი. გახსოვდეთ, რომ ასეთ დროში ყოველმა ადამიანმა მტკიცედ უნდა აასრულოს თავისი მოვალეობა და თავის მხრითაც მიიღოს მონაწილეობა საერთო საქმეში!..

შემოწირულებას მიიღებენ ყველა ქართული რედაქციები და აგრეთვე ბიუროს აღმასრულებელ კომიტეტის წევრები: ი. ს. გოგებაშვილი (ვეძინის ქ., № 1), გ. მ. ლასხიშვილი („ცნ. ფ.“ რედაქციაში), ბ-ნი ივ. დურგლიშვილი (დიდუბე, შერემ. ქ., ქუთაისის საადგ.-მამ. ბანკის სახლი) და ხაზინადარი ბიუროსი ვ. ი. რცხილაძე (ამხ. „კახეთი“-ს კანტორა, დვორც. ქ., თამამშ. სახლი). შემოწირულებათა და იმის განაწილების ანგარიშები გაზეთებში დაიბეჭდება ხოლმე.

ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტი.

P. S. ვთხოვთ გაზეთებს ეს მოწოდება დროგამოშვებით ჰბეჭდონ. ბ. ა. კ.

ახალი ამბავი

◆ **ელეტა-ხოცვა ქუთაისში.** ქუთაისის სადგურიდან 27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, გადმოგვცეს, რომ ქუთაისში საშინელი ელეტა-ხოცვაა. ყაზახები თოფებს ესვრიან მცხოვრებთ, მცხოვრებნიც პასუხს აძლევენ. ხალხს ჯარი მიუდგა. ამბობენ, ელეტა-ხოცვა ვიღაც ხულიგანმა გამოიწვიაო.

◆ **სოფლელები და შეიარაღება.** ეს ოთხი-ხუთი დღეა, რაც სოფლებიდან ხალხი დაიძრა და მოდის ქალაქში; ყველა თოფებს ითხოულობს, რომ გაჭირვების დღეს გამოადგეს. მხოლოდ სამიოდე სოფელმა მოასწრო თოფების მიღება ნამესტნიკის ნებართვით. შაბათს მაზრის უფროსმა თოფების ნაცვლად ასეთი ამბავი მიუტანა სოფლელებს: როდესაც თოფები დავაწყეთ დროგებზე წამოსაღებად, მოვიდა ახალი განკარგულება ნამესტნიკისა, თოფი აღარავის მისცეთო. სოფლელებს ძალიან ეწყინათ და საშინლად აღელდნენ. ზოგიერთმა წარმომადგენლებმა სთხოვეს გუბერნიის მარშალს ეშუამდგომლა ნამესტნიკის წინაშე, რომ თოფები მიეცათ სოფლებისთვის. კვირას მარშალი იყო კიდეც, მაგრამ ასეთი პასუხი მოიტანა; ჯერ-ჯერობით ვერ მისცემენ თოფებს; ეხლა აქ კომისია მუშაობს, წესები უნდა შეიმუშაოს სოფლად მილიციის მოწყობისა და მაშინ, როცა ეს წესები შემუშავდება და კომიტეტები დაარსდება, თოფები ამ კომიტეტებს მიეცემათ და ამ რიგად უნდა მოეწყოს მილიცია სოფლის დასაცავადაო. დარჩა ხალხი ხახამშრალი და ხელცარიელი ამ გაჭირვების დროს. ასე ხდება იქ, სადაც სხვისი იმედი აქვთ.

◆ **მაჰმადიანებთან კაცების გაგზავნა.** გუშინ ქართველ საზოგადოების კრებამ აირჩია რვა კაცი ბორჩალოს მაზრისკენ გასაგზავნად. იმათ უნდა მშვიდობიან გზაზე დააყენონ აღელვებული თათრები. ამ წარმომადგენლებს თან უნდა წაჰყვენ ოთხი თათრის ბეგი და დამცველი რაზმი. ქართველ წარმომადგენლებს თან ეყოლებათ ერთი ექიმი და სამი სანიტარი წამლებით. თავად-აზნაურობამ ამ მოგზაურობისთვის გადასდო ორმოცდა ათი თუმანი.

◆ **სათადარიგო ჯარის კაცთა გაგზავნა.** 27 ნოემბერს საღამოთი მოვიდნენ ტფილისის სადგურზე გრუზინსკის პოლკის 826 ჯარის კაცი. ესენი შინ უნდა წასულიყვნენ. ყველა ვაგონი მზად არ იყო. ჯარის კაცებმა მოითხოვეს, ან ეხლავე ჩაგვსხით ვაგონებში ან არა და გავანადგურებთ სადგურს და ახლად მოსულ მატარებლებსაო. ამის გამო გააჩერეს სახალხო მატარებელ № 4 ავჭალაში და № 77 ნავთლუღში. ჯარის კაცნი, როგორც იყო, ცხრა-ნახევარ საათზედ დააშოშმინეს, ვაგონებში დააბანაკეს და 28-ს დილით გაისტუმრეს.

◆ **პოლიციის რეორგანიზაცია.** ნამესტნიკის მიერ დანიშნულმა კომისიამ განიხილა საკითხი პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ. აზრადა აქვთ, პოლიცია ქალაქს დაუქვემდებარონ. ყველა უბანმა უნდა აირჩიოს რწმუნებული, რომელიც თვალ-ყურს ადევნებს თავის უბანში პოლიციის მოქმედებას. გუბერნატორსა და პოლიცმეისტერთან არჩეული საბჭოები იქნება. საქმე ჯერ საბოლოოდ არ არის გამოუკვლეული.

◆ **ქართველ ნეიტრალთა მიტინგი.** დღეს, სამშაბათს, 29 ნოემბერს, დილის 11 საათზე, ვერაზე (სათავად-აზნაურო სკოლის შენობასთან) დანიშნულია ნეიტრალ ქართველთა მიტინგი სომეხ-თათართა შორის ატეხილ შეტაკების შესახებ.

◆ **ნამესტნიკის მიერ პეტერბურგში ნიკოლაძის გაგზავნა.** ფოთის ქალაქის თავი ნ. ი. ნიკოლაძე 25 ამ თვეს გემით პეტერბურგში წავიდა ნამესტნიკის წინადადებით. როგორც ისმის, ნამესტნიკს შიკრიკი გაუგზავნია ფოთში ნიკოლაძესთან და უცნობებია, რომ მინისტრთა თავმჯდომარის ვიტტეს წინადადებით გთხოვთ წახვიდეთ, რაც შეიძლება მალე, პეტერბურგში, როგორც კარგი მცოდნე კავკასიისა.

◆ **ოთხი კაცის მოკვლა.** 20 ნოემბერს ღამე ჭიათურაში ოთხი კაცი მოუკლავთ: ქუთაისის მცხოვრებნი ქ. ბაბუნეიშვილი და ე. მიქაძე, ოზურგეთის მაზრის მცხოვრები ნ. ქავჯარაძე და შორაპნის მაზრის მცხოვრები ი. ჩაბიძე. იგინი შემჩნეულნი ყოფილან ცუდ კაცობაში, მაგრამ სიკვდილით დასჯა მათთვის არავის გადაუწყვეტია.

ზუგდიდის მაზრის უფროსი სამართალში. ამ ცოტა ხანში ქუთაისიდან ზუგდიდის მაზრაში მიემგზავრება ვიცე-გუბერნატორი ა. ყიფშიძე, რომელსაც დავალებული აქვს ადგილობრივ ადმინისტრაციის მოქმედების რევიზია. ზუგდიდის მაზრის უფროსსა და იმის დამქაშებზე იმდენი საზიზღარი და უგვანი ამბავი დაიწერა, რომ სწორედ დროა მიექცეს ყურადღება მათ მოქმედებას და თუ მეათედი მაინც მართალია იმისი, რაც იწერება, ყველა განდევნის ღირსია.

◆ **ყვირილა.** 23 ამ თვეს სადგურ ყვირილასთან სასიკვდილოთ დასჭრეს რკინის გზის დარაჯი იმ დროს, როცა ბაზრიდან ვოგზალში მიდიოდა. რევოლვერი ორჯელ დაახალეს და ორის ტყვიით გაგმირულმა დარაჯმა იმდენი-ღა მოასწრო, რომ ვოგზლის პერონამდე მიაღწია და იქ სული დალია. მკვლელები არ აღმოუჩენიათ.

◆ **სამხედრო მატარებლიდან პატრონების წაღება.** 23 ნოემბერს მუხიანსა და რიონს შუა გაუჩერებიათ სამხედრო მატარებელი და ერთის ვაგონიდან წაუღიათ ექვსი ყუთი პატრონებით სავსე. ამავე მატარებელში ყოფილა ოცამდე ჯარის კაცი, რომელთაც ვერაფერი გაუგიათ პატრონების წაღებისა.

◆ **ქართული ენა სამაზრო სამმართველოში.** ოზურგეთის მაზრის სამმართველოს საგუბერნიო ადმინისტრაციამ განუმარტა, რომ მიწერ-მოწერა მაზრის სამმართველოსა და სოფლის კანცელარიების შორის ქართულ ენაზე შეუძლია იქონიოს და ეს საჭიროც არისო. ეს გარემოება საყურადღებოა იმ მხრით, რომ თვით ხალხის მიერ არჩეული მოხელეები გაიგებენ, რას სთხოვენ მათ და იძულებულნი აღარ იქნებიან მიმართონ სოფლის მწერლებს, რომელთა შორის ჯერ-ჯერობით „მოსე მწერლები“ არ გადაშენებულან და, ამას გარდა, სოფელს გაუადვილდება საქმე მწერლების მოპოვებაში და არც ისე ძვირად დაუჯდება მათი ყოლა, როგორც აქამდის იყო. კანონიერების მხრით ქართულ ენაზე საქმეების წარმოება არაფერს უწესობას არ წარმოადგენს, რადგან 1864 წლის დებულება ერთ სიტყვასაც არ ამბობს წინააღმდეგ იმისა, რომ სოფლის და მაზრის სამმართველოთა შორის ქართული მიწერ-მოწერა არ სწარმოებდეს. ჩვენ შეგვიძლია მარტო ის ვისურვოთ, რომ სხვა მაზრებშიაც ამ ნაირივე წესი დამყარებულიყოს.

◆ **ახალი ჟურნალ-გაზეთები.** ნამესტნიკმა ნება დართო ნაფიც ვექილის თანაშემწეს ა. ბ. არაქელოვს გამოსცეს ქ. ბაქოში რუსულ ენაზე ყოველ კვირეული სურათებიანი — იუმორისტიული ჟურნალი „კომარი“, არქეოლოგს ე. ა. ლალაიანცს გამოსცეს ქ. ტფილისში სამთვეში ერთხელ (4 წიგნი წელიწადში) სომხურს ენაზე ჟურნალი „აზნაგრაკან ანდეს“ (ეთნოგრაფიული მიმოხილვა); ნაფიც ვექილის თანაშემწე ნ. ზ. ელიავა დაინიშნა „კავკაზსკი რაბოჩი ლისტოკის რედაქტორად.

◆ **ბრბოს თარეში.** სოგუთბულახიდან 27 ნოემბერს თხოულობდნენ ჯარს, რადგან ახლო-მახლო შეიარაღებული ბრბო დათარეშობს თურმე.

◆ **სად. სადახლო.** 27 ნოემბერს თითქმის ყველა მოსამსახურენი და მათი ოჯახობა წამოვიდნენ ტფილისში, რადგან გარშემო შეიარაღებული თათრები დათარეშობენ. სადგურზე დარჩა სადგურის უფროსი მატიტაშვილი.

◆ **მატარებლიდან გადავარდნა.** 27 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი სადგურში შედიოდა, ლიანდაგს გადასცდა ორთქლმავალი და რვა ვაგონი. ერთი მგზავრი დაშავდა.

◆ **რიონი.** 25 ნოემბერს, ძირულას და შორაპანს შუა, ვიღაც შეარაღებულნი დაეცნენ ჟანდარმს, რომელსაც სწრაფი ფოსტა მიჰქონდა სახალხო მატარებლით. ჟანდარმს ფეხში ესროლეს და წაართვეს პორთფელი ქაღალდებით.

◆ **შეგროვილი ფული.** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ ანგარიში რ. ს.—დ. მ. პ. (უმცირესობისა) მიტინგებზე შეგროვილ ფულისა: მიტინგზე ნაძალადევში 6 ნოემბერს—68 მ., მიტინგზევე ღვინის ვაჭრებისა დიდუბეში 18 ნოემბერს 176 მ. 65 კ.

◆ **ევლახი.** სადგურის საყარაულო მუშებმა, სომხებმა, მიანებეს თავი სადგურს და გაიქცნენ. 27 ნოემბერს ვიღაცამ 39 ვაგონი დახსნა.

◆ **საომარ წესების გაუქმება.** პოლონეთში მთავრობამ უკვე გააუქმა საომარ დროის წესები.

◆ **თოფები.** მუშათა ორგანიზაციას, ნამესტნიკის ბრძანებით, მიეცა ხუთასი თოფი და არა ათას ორასი, როგორც წინად გვქონდა აღნიშნული.

◆ **იარაღის შესახებ.** გაზეთებში ეწერა და ხმაც გავრცელდა, რომ სამხედრო საწყობიდან ხალხს იარაღს ურიგებენო. როგორც „კავ.“-შია გამოცხადებული, ეს ხმა ტყუილი გამოდგა.

◆ **აღსტაფა.** 27 ნოემბერს ღამით ვიღაცამ გასტეხა ორი ვაგონი და წაიღეს სახელმწიფო ტრანსპორტის სამი ტვირთი.

ქუთაისის ამბები

◆ 22 ნოემბერს უნდა მომხდარიყო ქუთაისის ქალაქის საბჭოს კრება, რომელსაც უნდა მოეწყო ქალაქის დაცვის საქმე. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ ასისთავებისა, და ათისთავები. როგორც აღმოჩნდა, რიცხვი არჩეულ კაცებისა, ე. ი. ასისთავებისა და ათისთავებისა დიდი ყოფილა და იმდენი ხალხი მოაწყდა საბჭოს დარბაზს, რომ ტევა აღარ იყო. წესიერების დაცვა ყოვლად შეუძლებელი შეიქნა და ამიტომ კრება გაიდო და ვიდრე ხალხი დაიშლებოდა შემდეგ გადაწყვეტილებას დაადგნენ: ქუთაისი დაცვის მხრივ უნდა გაიყოს ათ უბნად, თითო უბანმა უნდა აირჩიოს 6 დარაჯი. არჩევანი მოხდება მომავალ კვირას წინადვე გამოცხადებულ ადგილებში; თითო უბანში ცალ-ცალკე. მისთვის, რომ არჩეულ დარაჯთა შორის არ მოჰყვენ არა საიმედო პირები, დარაჯებს აირჩევენ დახურულის კენჭის ყრით. დარაჯების არჩევნამდე ქალაქის დაცვის საქმე იტვირთეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა.

◆ 23 ამ თვეს გასძარცვეს ქუთაისის რკინის გზის სადგურის უფროსი იმ დროს, როცა ფულს ითვლიდა. ამ დროს შევიდა ორი კაცი, რევოლვერი დასცალეს და რაც ხელში ჰქონდა სადგურის უფროსს, წაიღეს. წაღებული აღმოჩნდა 5000 მანეთზე მეტი. ასეთი ამბავი ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა. სადგურის უფროსი მარტოდმარტო თვლიდა ფულს, რომლის რაოდენობა აღემატებოდა 16.000 მანეთს. ეს რომ არ იკმარა, კარიც-კი არ დაეკეტა, როცა ფულის თვლას შეუდგა, მაგრამ კარს როგორ დაკეტავდა, რომ საკეტი არა ჰქონია!

◆ ქუთაისის ქალაქის თავმა დ. ა. ლორთქიფანიძემ თხოვნა მისცა გუბერნატორს, რომ ავადმყოფობის გამო სამსახურის აღსრულება არ შემიძლია და დროებით ჩემი მოვალეობის აღსრულება ჩემს მოადგილეს გადავეციო.

◆ 21 ნოემბერს გუბერნატორთან იყო ბაღდადის საზოგადოების დეპუტაცია, რომელმაც სთხოვა გუბერნატორს, რომ ბაღდადში დაბინავებული 50 ყაზახი და ერთი როტა ბესარაბიის პოლკისა ჩვენგან წაიყვანეთ, რადგან უწესობას ახდენენო. გუბერნატორს ჯარის გაყვანაზე თანხმობა გამოუცხადებია და სამაგიეროდ მოუთხოვნია დეპუტაციისაგან, რომ წესიერების დაცვა თქვენ იდეთ თავსაო. როცა წესიერების დაცვაზე ვლაპარაკობ, უთქვამს გუბერნატორს, მე მხედველობაში მაქვს ავაზაკობისა, ქურდობისა და მსგავს უგვან საქმის მოსპობაო. მეორე დღეს, 22 ნოემბერს, გუბერნატორთანვე შეიკრიბნენ ბაღდადის საზოქაულოს მამასახლისები და დ. სამტრედიის დეპუტატები, ეს უკანასკნელნი ითხოვდნენ, რომ ჯარის შენახვის ხარჯი მარტო სამტრედიას არ დასწოლოდა თავზე და ყველამ ერთად ცალკე სთხოვა გუბერნატორს, რომ იმავ ჯარის დაბინავების ხარჯი ხაზინამ იტვირთოსო. გუბერნატორმა აცნობა დეპუტატებს, რომ მან დიდი ხანია აღძრა ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა, რომ ჯარის დაბინავების ხარჯი ქუთაისის გუბერნიაში ხაზინამ იტვირთოსო. ნამესტნიკიც დამეთანხმა, სთქვა ბ-მა სტაროსელსკიმ, და თავის მხრით აღძრა შესაფერი შუამდგომლობა. ამიტომ იმედი მაქვს ჩემი შუამდგომლობა შეწყნარებული იქნებაო, მაგრამ თქვენი მხრითაც მოვითხოვ, საზოგადოებას ჩააგონოთ, რომ მან თავისი მოქალაქებრივი მოვალეობა შეასრულოს, ე. ი. მისცეს მთავრობას ჯარის-კაცები, სახელმწიფო გადასახადი შეიტანოს ხაზინაში და სხ. მამასახლისებმა აღნიშნეს ის ფაქტი, რომ პროპაგანდის გაძლიერების გამო მათ, მამასახლისებს, საზოგადოება აღარ უჯერებს და პირ და პირ პასუხის გაცემა მაგ კითხვებზე დღეს არ შეგვიძლია და თუ ნებას მოგვცემთ, მოველაპარაკებით საზოგადოებას და რასაც გვეტყვიან, ცოტა ხანში გაცნობებთო. ამ განცხადებით დაკმაყოფილებულა გუბერნატორი, მაგრამ სამტრედიის საზოქაულოს წარმომადგენლებისათვის უთქვამს, რომ თუ საზოგადოებამ არ ინდომა თავის მოვალეობის შესრულება, მე უნდა ვიცოდე, რადგან ამისთანა პირობაში მე იძულებული შევიქნები გუბერნატორობას თავი დავანებო და, ეჭვი არ არის, რომ ჩემ შემდეგ იმისთანა კაცს დააყენებენ, რომელიც რეპრესიებსა და საომარ წესების დამყარებას მოინდომებს. რამდენადაც ეს თქვენთვის სასარგებლო იქნება, ამის გადაწყვეტა თქვენთვის მომინდვია და ჩემი აზრით-კი ის გიჯობთ, რომ მოქალაქობრივი ცხოვრება განახლოთ და უცადოთ იმისთანა დროს, როცა თქვენი და მთელი ხალხის მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდებაო.

◆ 24 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე, ქალაქის თეატრის მახლობლად დასჭრეს ლაბინის პოლკის ყაზახი იმ დროს, როცა იგი თეატრთან მიდიოდა, დაჭრასთან ერთად წაართვეს იარაღი. ამ ამბავმა დიდად აალელვა თეატრში მყოფი საზოგადოება, რომელმაც არ იცოდა რა ექნა—დარჩენილიყო თეატრში თუ დაშლილიყო, მადგან ბევრს სამართლიანად ის ფიქრი აწუხებდა, რომ ვაი თუ ხოპერის პოლკის ყაზახებმა შური იძიონ თავის ამხანაგის დაჭრისათვის. არ გასულა ნახევარ საათი, რომ თეატრი დაიცალა და ქუჩები დაცალიერდა. დაჭრილი ყაზახი მთვრალი აღმოჩნდა და თითონ ყაზახს გამოუწვევია შეტაკება ხალხთან, რომელსაც უსარგებლნია შემთხვევით და იარაღიც აუხდია. 24 ღამეს ყაზახი ვერსად იპოვნეს და ბევრს ეგონა, რომ დაჭრილი ყაზახი ხალხმა წაიყვანა სადმე და დასაჯაო. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ ყაზახი ადგილობრივ ორგანიზაციას წაეყვანა თავისთვის, იარა შეეხვია, ბინა მიეცა და გათენდა თუ არა, ყაზახს იარაღი დაუბრუნეს და გაუშვეს.

◆ 22 ნოემბერს გუბერნატორის სადგომში მოხდა თათბირი მცირე კრედიტის საგუბერნიო კომიტეტის შესახებ. მკითხველს მოეხსენება უთუოდ, რომ წესდება მცირე კრედიტის შესახებ დამტკიცდა შარშან და აქამდის საგუბერნიო კომიტეტი არ შემდგარა. ამ გარემოებას, როგორც აღმოჩნდა, ენკენისთვეში მიაქცია ყურადღება ნამესტნიკმა და სთხოვა თურმე გუბერნატორს, კომიტეტის დაწესების გეგმა წარმომადგინეო. გუბერნატორს უპასუხნია, რომ ერობის შემოღებამდის უდროვოთ მიმაჩნია ამ საგანზე ფიქრი და, როცა ერობის დაწესებულებანი დამყარდება, მაშინ საქმე ბუნებრივად და წესიერად მოეწყობაო. მიუხედავად ამისა, ნამესტნიკს დაუვალებია გუბერნატორისთვის კომიტეტის მოწვევა და სწორედ ამის გამო შეჰკრიბა ადგილობრივი საკრედიტო და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენელნი. შეკრებილთ თითქმის ერთ ხმად ის აზრი გამოსთქვეს, რომ კომიტეტის არსებობა უქმი იქნება, თუ გლეხებს წარმომადგენელნი არ ეყოლებათ და ამავე დროს ისიც აღნიშნეს, რომ ეხლანდელი წესწყობილება ისეთია, რომ შეუძლებელია გლეხთათვის წარმომადგენლის არჩევა კომიტეტში და ამიტომ კომიტეტიც ვერ დაიწყებს მოქმედებას იმ დრომდე, ვიდრე ხალხს არ მიეცემა ის უფლებანი, რასაც ითხოვენო. გუბერნატორს მიუქცევია დამსწრეთა ყურადღება იმ გარემოებისთვის, რომ კომიტეტის ორგანიზაცია საჭიროა, რადგან ამას ითხოვს უმაღლესი მთავრობა, და ამიტომ, ვიდრე გლეხობას მიეცემა უფლება წარმომადგენლის წარმოგზავნისა, ისა სჯობია იმ პირთაგან შევადგინოთ კომიტეტი, რომელნიც სხვაზე მეტად შეუწყობენ ხელს მცირე კრედიტის გავრცელებას ხალხშიო. დამსწრენი დაეთანხმნენ გუბერნატორს და ის აზრი გამოსთქვეს, რომ თუ კომიტეტში მიიღებენ იმათ გარდა, რომელნიც დებულების ძალით იღებენ მონაწილეობას, ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენელნი და სასოფლო ბანკებისა და ამხანაგობათა მიერ არჩეული ოთხი წარმომადგენელი, მაშინ შესაძლებელი შეიქნება დროებით მაინც იმოქმედოს კომიტეტმა.

◆ ყასბების გაფიცვა ქუთაისში გათავდა და 24 გიორგობისთვიდგან ქუთათურებს ხორცი ექნებათ.

◆ 24 ნოემბერს, ღამის 11 საათზე, პოლიცმეისტრის კანცელარიაში ფანჯრები ჩალეწა ვიღაცამ და რამდენჯერმე რევოლვერი ისროლეს. კანცელარიაში იყო პოლიცმეისტერი, ბოქაულები და მათი თანაშემწენი; ერთმა ამათგანმა ორჯელ დასცალა რევოლვერი, რომლითაც არავინ დაჭრილა, მაგრამ ტყვიას პირდაპირ შეევარდნილ სახლის ფანჯარა, შეუმტვრევია და კინაღამ სახლის პატრონი კურცოვი არ დაუჭრია. ფანჯრების ჩამლეწი და რევოლვერის მსროლელი ვერ აღმოაჩინეს, თუმცა იმ აზრისანი არიან, რომ ეს საქმე მოახდინა გაფიცულმა ქალაქის დარაჯებმა, რომელნიც ეხლა გაფიცულებად ითვლებიან, მაგრამ მათ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე არავინ ფიქრობს და, მგონია, არც არავინ იფიქრებს. დიდად საფიქრებელია, რომ უსაქმურად დარჩენილმა ქალაქის დარაჯებმა ხულიგანების რაზმი არ შეავსონ.

მებატონის და იმის დამქაშების თავგასულობა

24 ნოემბერს სოფელს ქვიშხეთიდან, რომელიც მაღლიდან გადაჰყურებს გაშლილს ველს აღმოსავლეთისაკენ, გამოჩნდა შარაგზით ბორჯომისაკენ ჯგუფად მამავალი აუარებელი ხალხი. პირველი რაზმი შეჩერდა [illegible] პირად. ქვიშხეთის ეკლესიაზე [illegible] რეკა. მოსულმა ხალხმა ქვიშხეთისკენ აუხვია, ამათ მოეგებნენ ქვიშხეთელები და მათთან ერთად გაემართნენ სკოლის შენობისკენ, რომელსაც ზედ დასცქერის თავად სუმბათაშვილის სასახლე. აქედან ჩაჩნებმა გადმოიმიზნეს ბერდანები და შემოსძახეს ხალხს რუსულად; „სად მოხვალთ? აქ შემოსვლა არ გაბედოთო“!

ზარის რეკა შეუწყვეტლად ისმოდა. სკოლაში ხალხმა იმატა; გადასწყვიტეს — ეკლესიასთანაც ხალხი იკრიბება და ამიტომ სჯობს ჩვენც იქ ავიდეთო. დავიძარით, და იქ ეკლესიის პატარა გალავანში თავადის გადასახვევს რომ მიუახლოვდით „უჩადებმა“ სამი უღელი წართმეული მუშა საქონელი ხალხს მოაგებეს... და საომრად დაემზადნენ.:. რაზმ-რაზმად მოდიოდა ათის სოფლის მცხოვრებნი: სარმანიშვილის კარელნი, დამბხრეულელნი, კოდიწყაროელნი, ცხრამუხელნი, ქვიშხეთელნი თავის უბნებით, რბონაელნი, ბეკმელნი, თაგვეთელნი, დამშალელნი და ქაშვეთელნი. ამათ შორის ერთი რაზმი შეადგენდა დაიარაღებულ მოსულთა ჯგუფს. ბოლოს შეიკრიბა რამდენი ასი ყველა წოდების ორთავე სქესის ხალხი, უმეტესი გამწარებული და მრისხანე იყო.

ერთხმად ამოირჩიეს თავმჯდომარე და მდივანი. მთლად გლეხობა სჩიოდა თავად გიორგი სუმბათაშვილის მიერ მოწვეულ ჩაჩნების უჩადურს თარეშობაზე. სოფელ-სოფელ გამოდიოდნენ დიდ კრების წინაშე და აღიარებდნენ თავიანთ უდიერს გაჭირვებას: სუმბათაშვილის ჩაჩნები გვიხტებიან სახლებში, გვცემიან გზებში, ტყეებ გვაჭერენ, გვცემენ, გვართმევენ საქონელს, ფულს, იარაღს, სამატებს, ჯაჭვს, უღლებს; ბერდანებით ყველგან გვხვდებიან, თოფს გვესვრიანო. ყველა ამას სჩადიან მაშინ, როცა გზაზე ვართ, როცა ციციშვილების, აბაშიძის ან სხვათა ტყეში ვართ, ამათ ბარათებს გვიხევენ და გვძარცვავენო. უმეტესობა თხოულობდა ეხლავ სახლში მივიდეთ, თავი შევახოცოთ, რამდენსაც ბედად გვეწერის და მაინც მოვიშოროთ ეს ნადირი მოსისხლენი, ხომ მეტი აღარ შეიძლებაო: იწყვდნენ მრისხანენი თავგანწირულად...

მაგრამ ბოლოს, როგორც იქნა, გაიმარჯვა თავშეკავებულმა მოსაზრებამ, და არჩიეს ერთხელ კიდევ მოსთხოვონ თავ. სუმბათაშვილს, მოაშოროს სოფელს ჩაჩნების ჯალათობა. შემდეგ ყველამ მარჯვენა ხელი ფიცის ნიშნად აღმართა და ისმინა შემდეგს დადგენილებას:

„დღეს 24-ს ნოემბერს 1905 წელს ქვიშხეთის ეკლესიასთან ზარის რეკვით შევიკრიბენით ათი სოფლის მცხოვრებნი, ოჯახზე კაცი, პირადად და მინდობილობით მეზობელთა მიერ, მოვისმინეთ უჩადური მოქმედება და გაუგონარი ჯალათობა თავ. სუმბათაშვილის მიერ მოყვანილ ჩაჩნებისა, ცარცვა-გლეჯა უიარაღო ხალხისა და შელახვა მის პიროვნებისა, და ერთხმად, გაურჩევლად წოდებისა და სქესისა, დავადგინეთ: გამოეცხადოს პრესის შემწეობით თავ. სუმბათაშვილს, მოსპოს ეხლავე უშვერი საქციელი ჩაჩნებისა. უკეთუ ამას არ „ინებებს“ და არ მოსპობს უზნეო და უწესო შეწუხებას ხალხისას, მაშინ ჩვენ ათივე სოფლის მცხოვრებნი ვსდებთ ურთიერთშორის შეურყეველ ფიცს, ვიხმართ ყოველი საშუალება, რათა თავი დავიცვათ სამუდამოდ ჩაჩნებისაგან, ყოველი წანაგლეჯი ხალხს დავუბრუნოთ და ვინც ჩვენს ფიცს ზურგი აქციოს, იგიც უნდა მოკვდეს!“

ამის შემდეგ დიდხანს ისმოდა კიდევ ხალხის ხმაურობა. ბოლოს კრება თოფების სროლით დაიშალა. **მ. მეშენგელი.**

რედაქციამვე ჩაჩნების მხეცობის შესახებ შემდეგი წერილი მიიღო ხაშურიდან:

24 ნოემბერს, პირველ საათზე, ხაშურის ბუფეტში საშინელი თოფის სროლა ასტყდა. როგორც გამოირკვა, ქვიშხეთის მემამულის თ. სუმბათაშვილის მცველებმა ორმა ჩაჩანმა, თავით ფეხამდე შეიარაღებულებმა, ჩხუბი ასტეხეს ბუფეტში. ერთი ჩაჩანი დაეცა, მეორემ თოფსა და დამბაჩებში პატრონები ჩაიწყო, ახტა ბუფეტის კანტორის სკამზედ და დაიწყო სროლა. ზედიზედ ოცამდე ტყვია გაისროლა. როცა ხალხი გაიფანტა და იმისი ამხანაგი, მეორე ჩაჩანიც წამოხტა, ამანაც თოფის სროლა დაუწყო ხალხს. ესროდნენ გაურჩევლად ყველას. შემდეგ ორივენი პირველ კლასის საპირფარეშოში შეცვივდნენ და დაემალნენ შეგროვილ ხალხს. მოვიდა ოცამდე ყაზახი და ერთი როტა სალდათი, რომელთაც ალყა შემოარტყეს, დაიმორჩილეს და მეიპყრეს ჩაჩნები. ჩაჩნების სროლით დაიჭრა ორი, ერთი მსუბუქად, ერთი მძიმედ. ამათისავე სროლის დროს ერთ აქაურ მსახურის ზურაბოვის ცოლს აივნიდან შიშით ბავშვი გაუვარდა და მოუკვდა. სროლის შემდეგ ხალხი შეიკრიბა ჩაჩნების გასასამართლებლად, მაგრამ ყაზახის ოფიცერმა არ დაანება. კრებამ 6 კაცი აარჩია, რომ დაწვრილებით გამოიძიოს საქმე, და ამას გარდა, დამცველი მილიციაც შეადგინოს.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ზ. ჯაბადარი.**

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა.
განჯის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.